ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბაკალავრ ნაშრომი თემაზე:

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის პერსპექტივები ევროკავშირთან მიმართებაში,რეკომენდაცები ლიტვის მაგალითზე

ნინო ინასარიძე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვაჟა ტრაპაიძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017 წელი

სარჩევი

ანოტაცია 2
Annotation 3
1. საქართველო და ევროკავშირი,თანამშრომლობის ისტორია 4
1.1 ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა - TACIS 5
1.2 ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (European Neighborhood Policy/ENP) 7
1.3 ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი 8
(European Neigborhood Policy Instrumanet/ENPI) 8
1.4 ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი 2014-2020 წლებისთვის (ENI- European Neigborhood Instrument) 9
1.5 აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership - EaP) 10
2. საქართველო და ასოცირების შეთანხმება 11
3. საქართველოს გარემოსდაცითი შეთანხმებები 19
4. ასოცირების ხელშეკრულება და გარემოსდაცვა 22
გარემოს დაცვა 22
კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები 24
5. ასოცირების შთანხმების შესრულება გარემოს დაცვის სექტორში 25
2014-2016 წლებში ასოცირების შეთანხმების შესრულება, გარემოს დაცვის სექტორში 25
ასოცირების შეთანხმების შესრულება: 2017 წლის პრიორიტეტები 27
6. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი 28
6.1 განახლებული გზშ-ს პროცედურა 30
7. ლიტვა-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა 31
ლიტვის რეკომენდაციები საქართველოს გარემოსდაცვით სექტორში 34
კითხვარი თემაზე: „ქართვლი და ლიტველი სტუდენტების დამოკიდებულებების კვლევა გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ“ 35
დასკვნა 41
ბიბლიოგრაფია / გამოყენებული ლიტერატურა 42
დანართები 43

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომის თემატიკა თანამედროვე და აქტუალურია, იმდენად რამდენადაც XXI საუკუნეში გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და მთელი რიგი გარემოსდაცვითი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა კაცობრიობისათვის. როგორც ყველამ ვიცით საქართველოს უკვე დიდი ხანია გეზი აღებული აქვს ევროპისკენ და სრულიად იზიარებს ევროპულ ღირებულებებს. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება მათ შორის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებებისა და მდგრადი განვითარების სფეროებში. გარემოს დაცვის საკითხების განვითარების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის, აუცილებელია, რომ ქვეყანას დადგენილი ჰქონდეს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტული მიმართულებები; ანუ, ქვეყანას უნდა გააჩნდეს სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკა. ნაშრომის მთავარი მიზანია ნათლად დაგვანახოს ასოციერების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, მათი შესრულების ხარისხი, თანმიმდევრობა და ინტენსივობა, ასევე გარემოსდაცვითი კანონმდებლობის პერსპექტივები.

ნაშრომში ასევე განხილულია ლიტვის რესპუბლიკის რეკომენდაციები. რატომ ლიტვა? რატომ არა სხვა ბევრად განვითარებული და წამყვანი სახელმწიფოები? ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ლიტვა გამოსადეგი ქვეყანა იქნება გარემოსდაცვითი რეკომენდაციებისთვის უამრავი მიზეზის გამო, მაგალითად: ლიტვა ჩვენს მსგავსად პატარა სახელმწიფოა მცირე მოსახლეობით, ასევე არის ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანა, როგორც საქართველო, მასაც საკმაო დრო დასჭირდა გარემოსდაცვითი პრობლემების მოსაგვარებლად, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად და საბოლოოდ ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ვფიქრობ, ლიტვის რეკომენდაციები გამოსადეგი და საჭირო იქნება საქართველოსთვის გარემოსდაცვითი სექტორის სამომავლოდ განვითარებისათვის ევროპასთან დაახლოების გზაზე. აგრეთვე საბაკალავრო ნაშრომი შეიცავს სოციალურ კვლევას რომელით ჩატარდა ნაშრომის წერის პერიოდში და ეხება სტუდენტების დამოკიდებულებას გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ ლიტვასა და საქართველოში.

საბაკალავრო ნაშრომი ეყრდნობა მთელი რიგ დოკუმენტებს: ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულებას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკას გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების საკითხებში, ასევე ასოცირების შეთანხმების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2014 -2016 წლების სამოქმედო გეგმებსა და მათი შესრულების ანგარიშებს, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან მიღებულ საჯარო ინფორმაციას, კანონებისა და კანონპროექტების ანალიზს, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციის ანგარიშებს, ექსპერტთა დასკვნებს და აღებულ ინტერვიუებს.

Annotation

The Prospects for the Environmental Legislation of Georgia in Relation to the European Union, Recommendations in the Case of Lithuania

The present diploma thesis deals with an urgent and relevant issue, as environmental protection, climate change and a number of other environmental problems proved to be vitally important to the mankind in the 21st century. As is well known, Georgia has a long-term European orientation and fully subscribes to European values. According to the Association Agreement between the European Union and Georgia, Georgia has made a commitment to facilitate the progressive involvement of its legislation in almost three hundred legal acts of the European Union, among them in the realms of environmental protection, climate changes and sustainable development. To integrate the development of solutions to environmental problems in political life, it is necessary for a country to determine environmental policy goals and tasks and priority areas. That is to say, a country must have its own state environmental policy. The principal purpose of the present thesis is to show perspicuously the commitments undertaken through the Association Agreement as well as the level of their fulfillment, intensity and sequence, and also prospects for the environmental legislation.

The present thesis also draws our attention to the recommendations of the Republic of Lithuania, but why precisely Lithuania? From my perspective, Lithuania is a relevant country for environmental recommendations for a number of reasons, inter alia, Lithuania is a small country of thin population like us; like Georgia it is a post-Soviet country;It took a long time for Lithuania to solve environmental problems, approximate national legislation to relevant EU laws and finally join the EU. In my opinion, these recommendations would be considered appropriate and relevant for further development of the environmental sector of Georgia on its way towards EU accession. The thesis includes a social research that was carried out in the period before starting the thesis process and deals with students' attitudes towards environmental issues both in Lithuania and Georgia.

The present thesis is based on a number of documents: the Association Agreement between the European Union and Georgia, roadmap for the EU approximation process in the environmental and climate action fields as well as 2014-2016 Plans of Action elaborated by the Government of Georgia for the pursuance of the Association Agreement and records of their fulfilment, public information taken the respective government departments, analysis of laws and bills, also records of various organizations, judgements of experts and interviews.

1. საქართველო და ევროკავშირი,თანამშრომლობის ისტორია

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდანვე იწყება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. თავდაპირველად ეს თანამშრომლობა დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და ძირითადად შემოიფარგლებოდა საქართველოსთვის ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარებებით.

1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრა. ხელშეკრულებას ხელი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა მოაწერეს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს.

ჯერ კიდევ 1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ჯერ კიდევ ამ დროდან მოყოლებული საქართველო ისწრაფვოდა ევროპისაკენ. „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 43-ე მუხლში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებიც უნდა მოეცვა საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, ესენია: ინვესტიციები,სამეწარმეო სამართალი, საბაჟო სამართალი, საბანკო სამართალი და ა.შ მათ შორის გარემოს დაცვა და ბირთვული კანონმდებლობა.

შეთანხმების შემდგომ საქართველომ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. მართალია ნაბიჯები ნელი ტემპით იდგმებოდა მაგრამ იმ დროისათვის საქართველოსთვის ეს ეტაპი, ევროპასთან დაახლოების და კარგი პაქტიკის მომცემი გზა იყო.

2000 წლიდან შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად,

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობა დაევალა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალათ ეროვნული პროგრამის შესასრულებლად ინდივიდუალური (სექტორული) სამოქმედო გეგმების შემუშავება.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბდა შემდეგი ერთობლივი ინსტიტუტები:

- **თანამშრომლობის საბჭო**
- **თანამშრომლობის კომიტეტი**
- **საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი**

ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას.

1.1 ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა - TACIS

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმი შეიქმნა, რასაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მოვლენათა სწრაფი ტემპისა და დახმარების საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირმა წამოიწყო თავისი პროგრამა **TACIS** – ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States). იგი ვრცელდებოდა შემდეგ ქვეყნებზე: აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. 2007 წელს **TACIS** -ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა.

აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო ფორმალური და პოლიტიკურად აქტიური გახდა. პროგრამა TACIS -ის დაწყებისას ტექნიკური დახმარება ცალკე ხორციელდებოდა, მოგვიანებით კი, ეს პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან, საქართველოს ჩათვლით, რთული და სწრაფად მზარდი ურთიერთობის ნაწილი გახდა. პროგრამის მიზანი იყო უფრო ღრმა პოლიტიკური ურთიერთოების პრიორიტეტების დაკმაყოფილება. TACIS -ის დახმარების ძირითადი ელემენტი იყო ევროკავშირში არსებული ორგანიზაციების ნოუჰაუს და გამოცდილების გაზიარება პარტნიორი ქვეყნებისთვის. ზოგადად, პარტნიორი კომპანია (კონტრაქტორი) ევროკავშირიდან მუშაობდა პარტნიორ ორგანიზაციასთან (სამთავრობო ან არასამთავრობო) TACIS-ის ქვეყანაში კონკრეტულ პროექტზე. საქართველოში TACIS-ის საქმიანობა ეხმარებოდა ევროკავშირის ზოგად სტრატეგიას, გაეძლიერებინა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და მისი სვლა საბაზრო ეკონომიკისა და კარგად განვითარებული დემოკრატიისკენ.

მრავალი პროგრამის განხორციელების შედეგად TACIS-მა წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, ესენია: ახლად დანიშნულ მოსამართლეთა მომზადება; სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკულ სექტორში; პარლამენტის ინსტიტუციური მშენებლობა; საჯარო მოხელეთა მომზადება; ქუთაისსა და თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება; საბაჟოს მოხელეთა მომზადება; ახალი საბუღალტრო სტანდარტების დამკვიდრება კომერციულ ბანკებში; ტურიზმის სტრატეგიის განვითარება; საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისთვის დახმარების გაწევა; პორტებში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარება; TRACECA-ს ხიდის მშენებლობა; ფოთი-ილიჩოვსკის სარკინიგზო ბორნის მშენებლობა; რკინიგზაზე კომუნიკაციისა და სასიგნალო სისტემის შექმნის მიზნით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის დამონტაჟება; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება; გაზის განაწილების ქსელის განვითარება; სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა; ტემპუსი – უმაღლესი განათლების განვითარება და რესტრუქტურიზება; ქართულ-ევროპული პოლიტიკის და სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შექმნა და ა.შ. 1992–2006 წლებში ევროკომისიამ ტასისის ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო.

1.2 ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (European Neighborhood Policy/ENP)

2002 წლის 18 ნოემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ და 2002 წლის 12-13 დეკემბერს ევროკავშირის საბჭოს კოპენჰაგენის სამიტმა გამოხატა ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების სურვილი რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდავეთთან, ბელორუსიასა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებთან. სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთ დაახლოების პროცესის მხარდაჭერას. სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით ევროკავშირი თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას უწყობდა ხელს.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე 2004 წლის ივნისიდან გავრცელდა და მიზნად ისახავდა პროგრესის მიღწევას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- სტანდარტებისა და წესების ჰარმონიზაცია;
- ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მინიჭება, ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაიოლების მიზნით;
- ადამიანური რესურსის თავისუფალი გადაადგილებისა და კანონიერი მიგრაციის საფუძვლების შექმნა;
- თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, ტერორიზმის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების, ნარკოტიკების ტრანზიტის, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში;

- ევროკავშირის უფრო აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების (Conflict Resolution) და კრიზისულ სიტუაციათა მართვის (Crisis Manage- ment) საკითხებში;

- ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე - სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში (European Research Area;
- ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა;
- ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნების მოთხოვნილებებზე უკეთ ორიენტირებული დახმარების უზრუნველყოფა;
- დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხების ხელმისაწვდომობის ჩათვლით. 2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობდა ხელს. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს მიიღეს.ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მხრივ და ხელი შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს.

1.3 ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (European Neigborhood Policy Instrumanet/ENPI)

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI) იყო ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტული ფინანსური აქტივობებით მხარდაჭერას და 2007 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა თანამშრომლობის ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: TACIS (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) და MEDA (ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის). ამ თვალსაზრით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი უზრუნველყოფდა ამ პროგრამებში არსებული სტრატეგიული ხაზის გაგრძელებას. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საერთო ღირებულებების გაზიარება, სტაბილურობისა და კეთილდღეობის არეალის შექმნა, ინტენსიური თანამშრომლობა და უფრო ღრმა ეკონომიკური და რეგიონული ინტეგრირება თანამშრომლობის სფეროების მთელი სპექტრის გათვალისწინებით. 2007-2013 წლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ 16 სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნისა და რუსეთისათვის 11 მილიარდი ევრო შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ევროკავშირის დახმარება მისი სამეზობლოსათვის.

2007 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის 24 მილიონი ევრო გამოიყო, რაც სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებას მოხმარდა.

სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში 2007-2010 წლების საერთო ბიუჯეტმა 120 მლნ ევრო შეადგინა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა.

1.4 ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი 2014-2020 წლებისთვის (ENI- European Neigborhood Instrument)

2011 წლის დეკემბერში ევროკომისიამ წინადადებით მიმართა ევროპულ პარლამენტს 2014-2020 წლებისთვის ახალი საგარეო დახმარების ინსტრუმენტების, მათ შორის, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის დამტკიცების თაობაზე. 2011 წლის 25 მაისის ერთობლივი კომუნიკაციის თანახმად, ახალი ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI _ European Neigborhood Instrument) ევროკავშირის საზღვრებიდან აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე 16 პარტნიორ ქვეყანას აღმოუჩენდა დახმარებას, 2014 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში. აღნიშნული ინსტრუმენტი საქართველოში 2015 წლიდან ამოქმედდა. ENI-ის საერთო ბიუჯეტი 2014-2020 წლებში შეადგენს 15 მილიარდ ევროს 16 სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნის მხარდასაჭერად, შემდეგი მიმართულებით: 1) ორმხრივი პროგრამები, რომლებიც ცალკეული პარტნიორი ქვეყნისთვის მხარდაჭერას ითვალისწინებს; 2) მრავალმხრივი პროგრამები, რომლებიც ყველა ან რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის წინაშე არსებულ საერთო გამოწვევებს პასუხობს და ასევე მოიცავს რეგიონულ და ქვერეგიონულ თანამშრომლობას ორ ან მეტ პარტნიორ ქვეყანას შორის; 3) საზღვრისპირა თანამშრომლობა (CBC).

ENI-ს მთავარი მიზნებია: ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ხელშეწყობა; ევროკავშირის შიდა ბაზარზე პროგრესული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა; ნდობის აღდგენა უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით და კონფლიქტების აღკვეთა და მოგვარება; ასევე გამახვილდება ყურადღება ხალხთა შორის კონტაქტების ზრდაზე, დარგობრივ თანამშრომლობასა (მაგ. ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში) და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებაზე.

ENI-ს რეგულაცია უზრუნველყოფს უფრო გაზრდილ კავშირებს ევროკავშირის შიდა ინსტრუმენტებსა და პოლიტიკასთან, რათა გაძლიერდეს ევროკავშირის პოლიტიკით განსაზღვრული დახმარება, რაც ევროკავშირის ბიუჯეტის შიდა და გარე ინსტრუმენტების შესაბამისობას უზრუნველყოფს. შედეგად, პარტნიორ ქვეყნებსა და მათ მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის წარმატებულ შიდა პროგრამებში, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სტუდენტების მობილობა, ახალგაზრდული პროგრამები ან სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა.

რაც შეეხება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, ENI-ს რეგულაცია აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიიჩნევიან არა უბრალოდ ENI-ს დაფინანსების ბენეფიციარებად, არამედ იძენენ უფრო მნიშვნელოვან როლს ENI-ს საქმიანობების დაგეგმვაში, ასევე მათ განხორციელებასა და მონიტორინგში.

1.5 აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership - EaP)

აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership - EaP) ინიციატივა, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანთან, ბელორუსიასთან, მოლდავეთთან, საქართველოსთან, სომხეთთან, უკრაინასთან) თანამშრომლობის ახალი ფორმატი, თავდაპირველად შვედეთმა და პოლონეთმა შეიმუშავეს.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა.

ევროკომისიამ 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა **აღმოსავლეთ პარტნიორობის** შესახებ კომუნიკაცია, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. აღმოსავლეთ პარტნიორობა არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა ვითარდება ორი მიმართულებით: ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს: **ასოცირების შესახებ შეთანხმებების** (Association Agreements) გაფორმების გზით ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი უზრუნველყოფს ახალ ფორმატს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

2. საქართველო და ასოცირების შეთანხმება

მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში და დასრულდა 2013 წლის ივლისში. შეთანხმების პარაფირება მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის ფარგლებში. მას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში. ამ შეთანხმების გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით და ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება როგორც მხარეთა შორის, ასევე სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან, პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა (ასოცირების შესახებ შეთანხმების თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე და ეს მუხლი გაჩნდა საქართველოს მხრიდან მომლაპარაკებელი დელეგაციის ძალისხმევის შედეგად).

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.“ ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს არა მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირს ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს, არამედ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირი ინაწილებს კომპეტენციას წევრ ქვეყნებთან, შესაბამისად, შეთანხმების მხარეებად ევროკავშირთან ერთად გამოდიან მისი წევრი ქვეყნებიც. რაც შეეხება ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას (ევრატომი), მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს (მაასტრიხტის ხელშეკრულებით) და 2009 წელს (ლისაბონის ხელშეკრულებით) მოხდა ევროპის გაერთიანებების (ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება - European Coal and Steel Community და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება - European Economic Community) ჯერ შერწყმა, ხოლო შემდგომ ერთ სამართლებრივ სუბიექტად (ევროკავშირად, EU) ჩამოყალიბება, ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანებამ (European Atomic Energy Community) შეინარჩუნა დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი. ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს ატომური ენერგიის გაერთიანების კომპეტენციაში შემავალ საკითხებსაც, ევრატომი წარმოადგენს შეთანხმების მხარეს.

რა არის „ასოცირების შესახებ შეთანხმება“?

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის” შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

საქართველოსთვის ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმების“, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივით.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (Partnership and Cooperation Agreement - PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს თანამშრომლობის უფრო გაღრმავებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

,,აღმოსავლეთ პარტნიორობა“, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპულ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ფორმატი, წარმოადგენს შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივას. მისი მთავარი მიზანია, ევროპელ პარტნიორებთან მიმართებაში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა და მისი აღმოსავლეთ განზომილების გაძლიერება. პარტნიორობა 2009 წლიდან ამოქმედდა. ეს ინიციატივა პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან მნიშვნელოვნად დაახლოვების მიზნით, კონკრეტულ მექანიზმებს სთავაზობს და ახალ შესაძლებლობებს უხსნის.

შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს სათანადო რეფორმები:

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა,დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;

- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა;

- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღ მდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია; საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ტერორიზმის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა;

- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა: თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.

- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

რა სტრუქტურა აქვს შეთანხმებას?

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ:

- პოლიტიკური თანამშრომლობა (პრეამბულა; კარი I-III; VIII).
- დარგობრივი თანამშრომლობა.(კარი V-VII)
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DC FTA) (კარი IV).

შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

შეთანხმებას აქვს შემდეგი სტრუქტურა:

პრეამბულა

კარი I: ზოგადი პრინციპები

კარი II: პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

კარი III: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

კარი IV: ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

თავი 1: ეროვნული რეჟიმი და საქონლის ბაზარზე დაშვება

თავი 2: სავაჭრო ზომები

თავი 3: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება

თავი 4: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

და ა.შ

კარი VI: თანამშრომლობის სხვა სფეროებიში ერთიანდება ჩვენი საკვლევი ობიექტი

თავი 1: ტრანსპორტი

თავი 2 : თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

თავი 3: <u>**გარემოს დაცვა**</u>

თავი 4: <u>**კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები**</u>

თავი 5: <u>სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა</u>

...

თავი 10: სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

თავი 11: მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა

თავი 12: თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში

და ა.შ

რას ითვალისწინებს შეთანხმება?

შეთანხმება გახსნის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი

მიმართულებებით: საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონალური სტაბილურობა და სხვა.

მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ფულის გათეთრების, ტერორიზმის,ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.

დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა, მაგ., ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონალური განვითარება და სხვა.

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას.

შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის, თუმცა, არ გამორიცხავს ურთიერთობის სამომავლო განვითარებას ევროკავშირის ხელშეკრულების (Treaty on European Union) შესაბამისად.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ შეზღუდავს და ღიას დატოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას.

acquis communautaire - ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ერთობლიობა. ევროკავშირის ხელშეკრულება (Treaty on European Union) (მაასტრიხტის ხელშეკრულება) ძალაშია 1993 წლიდან და „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებასთან“ (Treaty on the Functioning of the European Union) (რომის ხელშეკრულება) ერთად წარმოადგენს ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ სამართლებრივ საფუძველს.

ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც პატივს სცემს ევროკავშირის ფასეულობებს, შეუძლია განაცხადი გააკეთოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი და აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა, ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ამასთან, ნათქვამია, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოვების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. დარგობრივი პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ზოგიერთ თავს აქვს დანართი, სადაც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტულ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინსტიტუციური რეფორმების გატარების ვადები. შეთანხმება ითვალისწინებს თითოეულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი რეფორმების მხარდაჭერას.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს:

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოვებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტიანობა. ასევე,

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას.

- გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და გააჩნიათ ისტორიული კავშირები და საერთო ღირებულებები.რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან. საკანონმდებლო დაახლოვება განხორციელდება გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების

შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება.

- კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ მხრივ, საქართველო და ევროკავშირი განავითარებენ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებს და ხელს შეუწყობენ მათ გამოყენებასა და გავრცელებას.
- მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, რაც გულისხმობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ამ ბაზარზე ქართული სამრეწველო პროდუქციის დამკვიდრებას;
- სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას; სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად დაგეგმვას, შეფასებასა და იმპლემენტაციას. ამასთან, მოხდება წარმოების მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.
- მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, არსებული რესურსების კონსერვაციის, სწორი მართვის, კონტროლის, მონაცემთა შეგროვების და უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ასევე, მხარეები ხელს შეუწყობენ შავი ზღვის რეგიონალურ თანამშრომლობასა და თევზჭერის შესაბამის რეგიონალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებს.
- თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში. მხარეები ვალდებულებას იღებენ, განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვა, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩაატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისათვის.

- ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მართვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში უზრუნველყონ კოორდინირებული დახმარება. ასევე, მოახდინონ ინფორმაციის რეგულარული გაცვლა, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების დროს მესამე ქვეყნისათვის გაწეული დახმარებების შესახებ.
- საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში, რაც ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას რეფორმების განხორციელების პროცესში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვებასა და სხვადასხვა სექტორში საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

როგორ მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვება?

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ზოგიერთ თავს ახლავს დანართი (სულ 34), რომელშიც მოცემულია ევროკავშირის კონკრეტული სამართლებრივი აქტები და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვების ვადები. შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვება მოხდება ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით.

როგორ დაეხმარება ევროკავშირი საქართველოს შეთანხმების იმპლემენტაციაში?

შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას შესაბამის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პროგრესული დაახლოვებისა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის კუთხით; ასევე ვალდებულებას, შესაბამისად განავითაროს თავისი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა. ევროკავშირი, თავის მხრივ, აღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გაუწევს შესაბამის პოლიტიკურ, ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას.

შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ევროკავშირის ტექნიკური და ფინანსური დახმარება განხორციელდება შესაბამისი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით. საქართველო ასევე გააქტიურებს თანამშრომლობას ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. საქართველოს „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ განხორციელებაში ასევე დახმარებას გაუწევენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვა დონორები, საკუთარი დახმარების პროგრამების მეშვეობით.

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე), ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე), რომელიც ასოცირების საბჭოს ეხმარება მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. ასოცირების

კომიტეტს ეხმარებიან სპეციალურად შექმნილი თემატური ქვეკომიტეტები. ქვეკომიტეტები იკრიბებიან საჯარო მოხელეების დონეზე და განიხილავენ კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე აზრთა გაცვლაგამოცვლის მიზნით, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები შექმნიან საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეეძლება, ასოცირების საბჭოსგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (Association Agenda) წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას. ამ გეგმით ხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისთვის მომზადება და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

3. საქართველოს გარემოსდაცითი შეთანხმებები

ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შედეგად ინტენსიურად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი კანონპროექტების მომზადება. 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა იძლევა სხვადასხვა სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავების გრძელვადიან პერსპექტივას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების ჩათვლით. ასოცირების შესახებ შეთანხმება იძლევა სოლიდურ სამართლებრივ საფუძველს სამომავლო კანონშემოქმედებისა და კანონაღსრულების პროცესისთვის. სხვა საკითხთა შორის, ის განსაზღვრავს ამოცანებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს დადგენილ ვადებში შემდეგი მიმართულებებისთვის: (i) გარემოსდაცვითი მმართველობა; (ii) ჰაერის ხარისხი; (iii) წყლის ხარისხი და რესურსების მართვა, საზღვაო გარემოს ჩათვლით; (iv) ნარჩენების მართვა; (v) ბუნების დაცვა; (vi) სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები; (vii) ქიმიური ნივთიერებების მართვა; და (viii) კლიმატის ქმედება. ტყის მდგრადი მართვა და თევზჭერასთან დაკავშირებული ასპექტები მოყვანილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია. რამდენიმე კანონპროექტი (მაგალითად, ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ; წყლის რესურსების მართვის შესახებ) და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უკვე მომზადებულია, ხოლო სხვები ან შემუშავების პროცესშია ან დაგეგმილია. ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკა, რომელიც გბრდს-მ შეიმუშავა, აწესებს კონკრეტულ ქმედებებს ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების დროულად შესრულებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრავს, არის 2015 წელს დამტკიცებული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs). დოკუმენტი მოიცავს 169 ქვემიზანს, რომლებიც 2030 წლისთვის უნდა იქნას მიღწეული. ამ ქვემიზნების

გარკვეული რაოდენობა მოიცავს გარემოსდაცვით ასპექტებს, რომლებსაც ქვეყნებმა უნდა მოარგონ თავიანთი პოლიტიკა.

საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მხარეც არის საქართველო, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეროვნული პოლიტიკის ფორმულირების პროცესში. საქართველო არის გლობალური და რეგიონული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმების, მათ შორის 18 კონვენციის, მათი ოქმების, დამატებების და შეთანხმებების მხარე. ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება, რომელიც გავლენას ახდენს მთელ გარემოსდაცვით მმართველობაზე ეროვნულ დონეზე და ხელს უწყობს საქართველოში უკეთესი გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარებას, არის კონვენცია ორჰუსის კონვენცია. იცავს რა მოსახლეობის გარემოსდაცვით უფლებებს, ორჰუსის კონვენცია იძლევა გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროს შემდგომი გაუმჯობესების მყარ საფუძველს.

მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები მოცემულია ცხრილში 1.

დასახელება	რატიფიცირების/ შეერთების თარიღი
კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ	1993
შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ოქმი შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების	2009
შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ოქმი ხმელეთზე განლაგებული წყაროებითა და საქმიანობებით გამოწვეული შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ	2009
შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ოქმი დამპინგით გამოწვეული შავი ზღვის გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ	1993
შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ოქმი ავარიულ შემთხვევებში შავი ზღვის გარემოს ნავთობითა და სხვა სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით თანამშრომლობის	1993
კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ	1994
ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის	2008
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია	1994
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმი	1999
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების პარიზის	2017
ოზონის შრის დაცვის შესახებ კონვენცია	1995
მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ	1995
ოზონის შრის დაცვის შესახებ კონვენციის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ (მონრეალის) ოქმის ლონდონის ცვლილება	2000

ოზონის შრის დაცვის შესახებ კონვენციის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ ოქმის კოპენჰაგენის ცვლილება	2000
ოზონის შრის დაცვის შესახებ კონვენციის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ ოქმის მონრეალის ცვლილება	2000
ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენციის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის პეკინის	2010
კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ	1996
კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ	1996

კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ	1999
შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენციის ოქმი ევროპაში ჰაერის დამბინძურებლების შორ მანძილებზე გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის გრძელვადიანი	2012
ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ	1999
გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ	1999
კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ	2000
შეთანხმება შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ	2001
შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვაზე	2001
შეთანხმება ღამურების დაცვის შესახებ ევროპაში	2001
კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია)	2000
ცვლილება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) შესახებ	2016
სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ	2006
როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ	2006
ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია	2008
ევროპის ლანდშაფტების კონვენცია	2010
შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე	2003

საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარატიების გამოყენების თაობაზე შეთანხმების დამატებითი	2003
კონვენცია ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ	2006
გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების	2009
კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ	2010

4. ასოცირების ხელშეკრულება და გარემოსდაცვა

კარი I

თავი 3

გარემოს დაცვა

მუხლი 301

მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას. თანამშრომლობა წარიმართება მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლიანობის ისევე, როგორც გარემოს დაცვის სფეროში მხარეებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებისა და მრავალმხრივი შეთანხმებების გათვალისწინებით.

მუხლი 302

1. თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

(a) გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტალური საკითხები, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება, განათლება და

ტრეინინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემები, ზედამხედველობა და აღსრულება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა, ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა, გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესები და ადმინისტრაციული და სამართლებრივი განხილვის ეფექტიანი პროცედურები;

(b) ჰაერის ხარისხი;

(c) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის წყალდიდობის რისკის მართვა, წყლის რესურსების სიმწირე და გვალვები, ასევე საზღვაო გარემო;

(d) ნარჩენების მართვა;

(e) ბუნების დაცვა, მათ შორის, სატყეო მეურნეობა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია;

(f) ინდუსტრიული დაბინძურება და ინდუსტრიული საფრთხეები; და

(g) ქიმიური ნივთიერებების მართვა;

2. თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირებას არა მხოლოდ გარემოსდაცვით პოლიტიკაში, არამედ პოლიტიკის სხვა სფეროებშიც.

მუხლი 303

თანამშრომლობა, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ინფორმაციისა და ექსპერტიზის გაცვლას; ორმხრივ და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობას, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის არსებული სტრუქტურების ფორმატში და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით, მხარეების მიერ რატიფიცირებული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების გათვალისწინებით, ასევე თანამშრომლობას შესაბამისი უწყებების ფარგლებში.

მუხლი 304

1. თანამშრომლობა, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ მიზანს:

(a) „გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული გეგმის“ (NEAP) შემუშავებას, რომელიც მოიცავს ყველა ეროვნულ და სექტორულ გარემოსდაცვით სტრატეგიულ მიმართულებებს საქართველოში, ასევე ინსტიტუციურ და ადმინისტრაციულ საკითხებს;

(b) გარემოს დაცვის საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ასახვის ხელშეწყობას; და

(c) აუცილებელი ადამიანური და ფინანსური რესურსების განსაზღვრას.

2. NEAP პერიოდულად განახლდება და დამტკიცდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 305

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

მუხლი 306

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი 4

კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები

მუხლი 307

მხარეები განავითარებენ და გააძლიერებენ თანამშრომლობას კლიმატის ცვლილების დასაძლევად. თანამშრომლობა წარიმართება მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლიანობის საფუძველზე ამ სფეროში ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით.

მუხლი 308

თანამშრომლობა მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ასევე საერთაშორისო დონეზე ღონისძიებების გატარების ხელშეწყობას, მათ შორის შემდეგ სფეროებში:

(a) კლიმატის ცვლილების შერბილება;

(b) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;

(c) ნახშირბადით ვაჭრობა;

(d) უსაფრთხო და მდგრადი დაბალნახშირბადიანი შემცველობისა და საადაპტაციო ტექნოლოგიების კვლევა, განვითარება, დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება; და

(e) კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაცია.

მუხლი 309

მხარეები, სხვა საკითხთა შორის, აგრეთვე გაცვლიან ინფორმაციას და პროფესიულ გამოცდილებას; წარმართავენ ერთობლივ კვლევით საქმიანობას და ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას სუფთა ტექნოლოგიების შესახებ; განახორციელებენ ერთობლივ ქმედებებს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რომლის დროსაც გაითვალისწინებენ მხარეების მიერ რატიფიცირებულ მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებს, გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, განახორციელებენ

ერთობლივ საქმიანობას შესაბამისი უწყებების ფარგლებში. მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ტრანს-სასაზღვრო საკითხებსა და რეგიონულ თანამშრომლობას.

მუხლი 310

საერთო ინტერესების გათვალისწინებით, თანამშრომლობის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად, მომზადდება და განხორციელდება:

(a) „ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (NAPA);

(b) „დაბალი ემისიების განვითარების სტრატეგია“ (LEDS), „ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ზომების“ ჩათვლით;

(c) ტექნოლოგიების საჭიროების შეფასების საფუძველზე, ტექნოლოგიების გადაცემის ხელშემწყობი ღონისძიებები;

(d) ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებებისა და ფტორშემცველ სათბურის გაზებთან დაკავშირებული ღონისძიებები.

მუხლი 311

რეგულარული დიალოგი გაიმართება წინამდებარე თავში განხილულ საკითხებზე.

მუხლი 312

საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVII დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

5. ასოცირების შთანხმების შესრულება გარემოს დაცვის სექტორში

2014-2016 წლებში ასოცირების შეთანხმების შესრულება, გარემოს დაცვის სექტორში

გარემოს დაცვის სექტორში მიმდინარე პროცესები, გარკვეულწილად, დადებითად შეიძლება შეფასდეს. ეს უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია თავად ასოცირების შეთანხმებით, რომელიც მოითხოვს გარემოს დაცვის სექტორის ძირეულ რეფორმას და გარემოს საკითხების ინტეგრირებას სხვა სექტორებში, მათ შორის, ეკონომიკასა და ვაჭრობაში. ევროკავშირის მიერ საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფამ ისეთ სექტორებში, როგორიცაა რეგიონული განვითარება და სოფლის მეურნეობა, ასევე, დადებითი როლი ითამაშა ამ ტენდენციის განვითარებაში. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით, 2015 წელს შეიმუშავა

ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატის საკითხებზე; (იხ.დანართი 1) 2016 წლის შემოდგომაზე კი, წარმოადგინა საგზაო რუკის განახლებული ვარიანტი. საგზაო რუკაში დეტალურადაა გაწერილი ამა თუ იმ სექტორის რეფორმირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების გეგმა და შესრულების ვადებები. ამასთან, საგზო რუკა, თითოეული ქმედებისთვის,განსაზღვრავს სექტორში არსებულ სირთულეებსა და პრიორიტეტების დადგენის კრიტერიუმებს, კონკრეტულ პასუხიმგებელ უწყებას (სამსახურის/სააგენტოს დონეზე), განსაზღვრავს შუალედურ და საბოლოო ინდიკატორებს და შესაბამის თარიღებს. ეს აიოლებს აღებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შეფასებასა და მონიტორინგს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ვერ შეძლო ხელშესახები შედეგების ჩვენება 2014-2015 წლებში. ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმებისა (2014-2016 წლების) და საგზაო რუკის შესრულების ანალიზი აჩვენებს, რომ დაწყებულია მუშაობა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზებისთვის, როგორც ჰორიზონტული, ისე სექტორული (ჰაერი, წყალი, ბიომრავალფეროვნება, ტყე და სხვ.) მიმართულებით. თუმცა, ამავდროულად, არცერთი კანონპროექტი არაა საბოლოოდ მიღებული, მათ შორის, ისინიც, რომლებიც გეგმის თანახმად, უკვე მიღებული, ან სულ მცირე, წარდგენილი მაინც უნდა იყოს პარლამენტში განსახილველად ეს მდგომარება აბრკოლებს შესაბამის სფეროებში რეფორმის გატარებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელისუფლებო წრეებში ჯერ კიდევ მტკიცედ არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ გარემოს დაცვა ეკონომიკის განვითარების მთავარი ხელშემშლელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილ დროში განხორციელდეს და დაინერგოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, სწორედ ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში. ეს მოგვცემს საშუალებას, უზრუნველყოთ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და საუკეთესო ალტერნატივების გამოვლენის გზები.

ასოცირების შეთანხმება გარემოს დაცვას განიხილავს, როგორც თანამშრომლობის სექტორს, რომელიც მიზნად ისახავს „გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად“. სწორედ ამიტომ,გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს შეთანხმების განუყოფელ ნაწილში ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო შეთანხმებაში.

შესაბამისად, იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, აუცილებელია, ქვეყანას გააჩნდეს სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც იქნება ქვეყნის მომავალი განვითარების ერთ-ერთი საფუძველი. ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი მმართველობის პროცესში. კვლავ ფორმალური პროცედურების არარსებობის გამო, სუსტია საზოგადოების მონაწილეობა, როგორც პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, ისე გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კვლავ არათანმიმდევრულია ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, სა- ზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკა: რიგ შემთხვევაში, პროცესი საკმაოდ გახსნილია და არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტებისა და დაინტერესებული საზოგადოების მოსაზრებებიც აისახება განსახილველად გამოქვეყნებულ დოკუმენტში; ზოგ შემთხვევაში კი, პროცესები დახურულია. კვლევამ აჩვენა, რომ იმ სექტორებში, სადაც არსებობს დონორთა დაინტერესება და უზრუნველყოფილია მრავალმხრივი ფინანსური ნაკადების სტაბილურობა ან/და თანამშრომლობა ორმხრივ და რეგიონულ დონეზე (მაგ., ბუნების დაცვა ბიომრავალფეროვნება და ტყის მართვა), შედარებით მეტი ქმედითი ნაბიჯია გადა დგმული ასოცირების შეთანხმების შესასრულებლადაც. ამასთან, გამოიკვეთა სახიფათო ტენდენციაც, რომ საერთაშორისო პროგრამის დასრულებამ შეიძლება შეანელოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი (ამის ნათელი მაგალითებია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტისა და წყლის შესახებ კანონპროექტის შემუშავების პროცესები).

კანონპროექტებით მოცული თემების სირთულიდან გამომდინარე, კანონპროექტების შემუშავება განხილვა-მიღების პროცესის გადავადება არ იყო მოულოდნელი; გარემოს დაცვა რთული სექტორია, სადაც ბევრი დაინტერესებული მხარეა ჩართული და შესაბამისად, რთულია კონსენსუსის მიღწევა. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, კანონპროექტების შემუშავების დასრულებისა და პარლამენტში წარდგენის ვადის გადავადებისას, საზოგადოებისთვის უცნობია შეფერხების მიზეზები.

ასოცირების შეთანხმების შესრულება: 2017 წლის პრიორიტეტები

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული ქმედებები არ იქნება ეფექტური, თუ გარემოს საკითხები არ იქნება ინტეგრირებული სექტორულ პოლიტიკაში. ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას ყოველთვის მოჰყვება უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები. ეს, ერთი მხრივ, წარმოქმნის სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებს საზოგადოებაში, ხოლო მეორე მხრივ, მოითხოვს დამატებითი ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე იყოს შეფასებული ყოველი პროგრამის/პროექტის ზემოქმედება და გაითვალოს შემარბილებელი ღონისძიებები. ეს, საბოლოო ჯამში,

ამ პროგრამებსა და პროექტებს ეკონომიკურად მიმზიდველს და მომგებიანს გახდის. გარემოს საკითხების განვითარების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის, აუცილებელია, რომ ქვეყანას დადგენილი ჰქონდეს თავად გარემოს დაცვაში პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტული მიმართულებები; ანუ, ქვეყანას უნდა გააჩნდეს სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკის არსებობა გადაუდებელ აუცილებელობას წარმოადგენს. 2015 წელს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით, საქართველოს საჯარო მმართველობის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, შეფასდა საქართველოში პოლიტიკის დაგეგმვის მოქმედი სისტემა. შეფასების შედეგად, დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედი პოლიტიკის დაგეგმვის სისტემა არაე- რთგვაროვანი და გაუმართავია; გამოვლინდა სისტემაში არსებული პრობლემები და დაისახა მისი გარდაქმნის სამწლიანი სტრატეგია - პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის 2015-2017 წლების სტრატეგია. მნიშვნელოვანია, არ გადავადდეს სტრატეგიის განხორციელება. ამ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დროული განხორციელება, თავის მხრივ, ხელს შეწყობს გარემოს საკითხების განვითარების პოლიტიკაში ხარისხიან ინტეგრაციას.

6. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით სამინისტრომ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით, შეიმუშავა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 20 აპრილს პირველი მოსმენით მიიღო. ის ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან. კოდექსის პროექტი სრულიად ახლებურად არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხებს. კერძოდ:

- მოხდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების გაზრდა და განხორციელდა მათი რანჟირება მასშტაბებისა და ზემოქმედების ხარისხის მიხედვით.
- დაინერგა სკრინინგის პროცედურა რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქმიანობის განმახორციელებელს დაზოგოს ფინანსური რესურსი და დრო, იმისათვის, რომ წინასწარ არ მოამზადოს გზშ-ს სრული ანგარიში ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც შესაძლოა საერთოდ არ დაექვემდებაროს გზშ-ს.

- სკოპინგის პროცედურით კი საქმიანობის განმახორციელებელს მიეცემა შესაძლებლობა დაგეგმოს ბიუჯეტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად და არ გაიღოს ზედმეტი ხარჯები ისეთი კვლევების ჩასატარებლად, რომელიც არ არის აუცილებელი გზშ-ს მოსამზადებლად.

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება რომელმაც ჩაანაცვლა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გამოეყო მშენებლობის ნებართვას თუმცა ამავდროულად საქმიანობის განმახორციელებელს მიენიჭა უფლება პარალელურ რეჟიმში გაიაროს მშენებლობის ნებართვის პროცედურები.
- კოდექსს შემოაქვს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემა, იმისათვის, რომ სხვადასხვა სექტორების დაგეგმარების პროცესი მიმდინარეობდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ასპექტების გათვალისწინებით.

- კოდექსი ითვალისწინებს, სრულიად ახალი, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შემოღებას რომლის შესაბამისად, საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით უცხო ქვეყნის გარემოზე ზემოქმედების დროს, უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული სახელმწიფოს ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- სრულიად ახლებური მიდგომები ყალიბდება საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ერთ-ერთი მთავარი სიახლე არის სწორედ ის, რომ საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინფორმირება და საჯარო განხილვის ორგანიზება იქნება არა საქმიანობის განმახორციელებლის, არამედ, სახელმწიფოს, კერძოდ, სამინისტროს ვალდებულება. ამით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უფრო ეფექტიანი მონაწილეობა და ამასთან, საქმიანობის განმახორციელებლები გათავისუფლდებიან ამ ტვირთისგან.

კოდექსი სრულად ჰარმონიზებულია ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან, აგრეთვე მაქსიმალურად არის მორგებული ქვეყნის საკანონმდებლო სივრცესა და რეალობას.

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს სურვილი, შეასრულოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით საქართველოს მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება, იზრუნოს გარემოზე და მოახდინოს გარემოზე მავნე ზემოქმედების პრევენცია, შემსუბუქება ან თავიდან აცილება. გარემოს დაცვის სფეროში, ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტული საკითხები, მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება, განათლება და ტრეინინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემები, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, ადმინისტრაციული და სამართლებრივი განხილვის ეფექტიანი პროცედურები, ასევე, ჰაერის ხარისხის, წყლის ხარისხის და წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, ინდუსტრიული დაბინძურება და ქიმიური ნივთიერებების მართვა. ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას შემდეგ სფეროებში:

- გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება (2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივა გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების .
- გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა).
- საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ (2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/4/EC დირექტივა) და საზოგადოების მონაწილეობას

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავება (2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა). და ა.შ

კანონპროექტის მიზანია საქართველოს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების მიმართულებით ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურების დანერგვა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებისა და საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

6.1 განახლებული გზშ-ს პროცედურა

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ევროკავშირის დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემგომში - გზშ) შესახებ განმარტავს, თუ რა ეტაპებისგან უნდა შედგებოდეს გზშ პროცესი:

(ა) სკრინინგი: სკრინინგის ეტაპზე მიიღება გადაწყვეტილება გზშ-ს ჩატარების საჭიროების შესახებ. იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც სავალდებულოდ ექვემდებარებიან გზშ-ს, წარმოდგენილია დირექტივის პირველ დანართში. მეორე დანართში ჩამოთვლილია საქმიანობები, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებით, შეიძლება დაექვემდებაროს გზშ-ს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება სკრინინგის პროცედურების საშუალებით, საქმიანობებისთვის წინასწარ დადგენილი ზღვრების ან ყოველ კონკრეტული შემთხვევის (საქმიანობის) განხილვის საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნულმა კომპეტენტურმა ორგანოებმა გზშ-ს ჩატარების საჭიროების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელონ დირექტივის მესამე დანართით დადგენილი კრიტერიუმებით.
(ბ) სკოპინგი: სკოპინგის ეტაპზე ხდება კვლევის ფიზიკური/რეგიონული ფარგლების დადგენა და იმ გარემოსდაცვითი საკითხების და საქმიანობის ალტერნატივების განსაზღვრა, რომლის შესწავლაც უნდა მოხდეს გზშ-ს ანგარიშის მომზადებისას.
(გ) გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში: სკოპინგის საფუძველზე უნდა მომზადდეს გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში, რომელიც სხვა საკითხებს შორის, უნდა მოიცავდეს არსებული ვითარების აღწერას, გეგმის ან პროგრამის განხორციელებით გამოწვეულ მოსალოდნელ ზეგავლენას, ზეგავლენის თავიდან აცილების, შემცირების და შერბილების ღონისძიებებს და მონიტორინგის გეგმას.

(დ) კონსულტაცია: გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა უნდა ჩაატარონ საჯარო კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან და საზოგადოებასთან.
(ე) გადაწყვეტილების მიღება: გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე შესაბამისმა საჯარო უწყებამ უნდა შეაფასოს წარდგენილი განაცხადი თანხმობის (სანებართვო დოკუმენტის) გაცემაზე გადაწყვეტილების მისაღებად, გზშ ანგარიშისა და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით.

(3) მონიტორინგი: ამ ეტაპზე ხდება სახელმწიფო კონტროლის განხორციელება სანებართვო პირობების შესრულებაზე.



ნახ.1 ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობებით განსაზღვრული გზშ ეტაპების შედარება.

ახალი გარემოსდაცითი კოდექსის მიხედვით მოხდა გზშ-ს პროცედურებისა და ეტაპების დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ გზშ-ს ეტაპებთან და ძალაში შევა მომავალი წლიდან.

7. ლიტვა-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა

1991 წლის სექტემბერში დაშლის პირას მყოფმა საბჭოთა კავშირმა ლიტვის დამოუკიდებლობა ცნო. 1993 წელს კი ლიტვა პირველი ქვეყანა გახდა აღმოსავლეთ ევროპაში, საიდანაც რუსეთმა ჯარები მთლიანად გაიყვანა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ლიტვას დანარჩენი პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მსგავსი პრობლემები ჰქონდა: თავისუფალ ეკონომიკურ ბაზარზე გადასვლა რთული იყო, ბიუროკრატია ყვაოდა და სახელმწიფო ორგანიზებულ დანაშაულს უნდა გამკლავებოდა. თუმცა უკვე 1995 წლისთვის პოლიციამ მთავარი დამნაშავეების დაჭერა მოახერხა. ხელი შეეწყო პრივატიზაციას და ბიზნეს-სექტორის ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია, რომ 1992 წელს ლიტვამ ახალი კონსტიტუცია მიიღო. ქვეყანა საპრეზიდენტო რესპუბლიკად გამოცხადდა. ლიტვის ყველა მაცხოვრებელს, განურჩევლად ეთნიკურობისა და ლიტვურის ცოდნის დონისა, მოქალაქეობის აღების უფლება მიეცა.

ლიტვის მთავრობამ თავიდანვე დაისახა მიზნად ნატოსა და ევროკავშირის წევრობა, როგორც გარანტია მომავალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. მთავრობების ცვლის, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, ლიტვას არჩეული გზისთვის არ გადაუხვევია.

2002 წელს პრაღის სამიტზე ლიტვამ ნატო-სგან მიწვევა მიიღო. ქვეყანა ალიანსის წევრი 2004 წლის მარტში გახდა, მაისში კი ევროკავშირს შეუერთდა. ნოემბერში ლიტვამ პირველმა მოახდინა ევროკავშირის ახალი კონსტიტუციის რატიფიცირება.

ევროკავშირის წევრობამ გააძლიერა ლიტვის უსაფრთხოება და ხელი შეუწყო ევროპული ფასეულობების - დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და ინდივიდუალური თავისუფლებების პატივისცემას. ლიტვის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წამყვანი რგოლი ევროკავშირის შიდა ბაზარზე 500 მილიონი მომხმარებლია.

ევროკავშირშის წევრობამ ლიტვას გაუწია ფინანსური მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, ლიტვის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების, მეცნიერების და ინოვაციების განვითარებასა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში.

ევროკავშირის პოლიტიკურმა და ფინანსურმა დახმარებამ ლიტვაში მნიშვნელოვნად გააძლიერა ენერგოუსაფრთხოება. ევროკავშირში გაწევრიანებას ლიტვა შესაბამისად შვიდა შენგენის ზონაში. სადაც გამოიყენება თავისუფალი გადაადგილების პრინციპი. ევროს მიღების შემდეგ, (ევროკავშირის ერთიანი ვალუტა) 2015 წლის 1 იანვარს, ლიტვა გახდა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის სრული წევრი.

საინტერესო ფაქტია,რომ 1998 წლის 9 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული სიკვდილით დასჯა ეწინააღმდეგება ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციას.

1998 წლის 21 დეკემბერს სეიმმა მიიღო ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში ლიტვაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. კომპლექსური პოლიტიკური დებატების ფონზე.

რაც შეეხება გარემოსდაცვით სექტორს, არც აქ იყო სახარბიელო მდგომარეობა. ლიტვას უნდა შეექმნა ეროვნული ენერგეტიკული სტრატეგია, რადგან ევროკავშირი ასოცირების ხელშეკრულება მოითხოვდა განსაზღვრულ დროში, ლიტვაში მდებარე იგნალინას ატომური ელექტროსადგურის ორივე რეაქტორის დახურვას. (პირველი და მეორე დახურვა 2005 წლამდე და 2009 წლამდე).

1999 წლის 5 ოქტომბერს სეიმმა დაამტკიცა ეროვნული ენერგეტიკული სტრატეგია .მოლაპარაკებების შედეგად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, რომ იგნალინას აესი-ის პირველი რეაქტორი 2005 წლისთვის დაიხურებოდა და მეორე რეაქტორის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება 2004 წელს მიიღებოდა. ხოლო შემდგომში მეორე რეაქტორის დახურვის თარიღი 2009 წელი გადაწყდა და მართლაც ლიტვამ ამ დავალებას თავი შესანიშნავად გაართვა და ორივე რეაქტორი ამჟამად დახურულია. ამ ეტაპზე იგნალინას აესი იღებს მნახველებს,ექსურსიებს და ყველა დაინტერესებულ პირს,რათქმაუნდა უსაფრთხოების დაცის ნორმებით.

გარდა იგნალინას ატომური ელექტროსადგურისა ლიტვაში ევროკავშირში შესვლამდე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემის წინაშე იდგა. მოგეხსენებათ,რომ საბჭოთა კავშირში გარემოს დაცვის სექტორს ყურადღება ძალიან ცუდად ექცეოდა და იქიდან მოყოლებული შემოგვრჩა მოსაზრება,რომ გარემოს დაცვა ეკონომიკური ზრდის უკუპროპორციული ცნებაა, არადა კარგად,რომ დავუფიქრდეთ მდგრადი განვიტარება და მწვანე პოლიტიკა ხელისშემშლელი კი არა პირიქით დამხმარე ფაქტორია ეკონომიკისათვის.

მოგეხსენებათ ლიტვა საქართველოზე ოდნავ პატარა ქვეყანაა ტერიტორიულად და იმ პერიოდში ლიტვაში ფიქსირდებოდა 900-მდე ნაგავსაყრელი,მათ შორის უარავი ე.წ უკანონო ნაგავსაყრელები. ევროკავშირმა დაავალდებულა ლიტვა, პირველ რიგში დაესუფთავებინა გარემო საფუძვლიანად,დაეხურათ ეს ნაგავსაყრელები და გაეხსნათ რეგიონული ნაგავსაყელი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებდა. უმოკლე დროში ლიტვის სახელმწიფომ შეძლო ამ სექტორის გამოსწორება დიდი ძალისხმევის შედეგად.

გარდა ამისა, აღსანიშნავია წყლის დაბინძურება, ჰაერის დაბინძურება, ნიადაგების დაბინძურება, საყოფაცხოვრეო და სამრეწველო დაბინძურება, ავტომობილების გამონაბოლქვი. ლიტვის გარემოს დაცვის სამინისტრომ უმოკლეს დროში შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა და დაიწყო ყველა პრობლების ეტაპობრივად აღმოფხვრა. ლიტვის ეროვნული გარემოსდაცვის კანონმდებლობა თანდათან დაუახლოვდა ევროკავშირის კანონმდებლობას ყველა სფეროში და შედეგმაც არ დააყოვნა, 2004 წელს ლიტვა გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა.

2009 წლის შიდა ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ლიტვას ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ევროკავშირში სამთავრობო ვალის ფარდობის მიხედვით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან. კრიზისის გამო მთავრობამ ხარჯები 10.5 პროცენტით შეამცირა 2009-2013 წლებში და ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 2.9 პროცენტამდე დაიყვანა. 2014 წლის მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი წელიწადში (მსყიდველობითი უნარის მიხედვით გათანაბრებული) 25 000 აშშ დოლარია (შედარებისთვის: 7582 – საქართველოში). 2000 წელთან შედარებით მშპ თითქმის გაორმაგებულია.

მთავარ საექსპორტო ქვეყნად ლიტვისთვის ჯერ კიდევ რუსეთი რჩება, სადაც, ძირითადად, მანქანა-დანადგარები, ავტომობილები, ყველი და ღვინო გააქვთ. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორებია: ესტონეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი. ექსპორტის ყველაზე დიდი წილი, 22 პროცენტი, (2012 წლის მონაცემებით)გადამუშავებულ ნავთობს უჭირავს, რომელსაც სასუქი და ხორბალი მოჰყვება. 2015 წლის დასაწყისში ევროზონაში გაწევრიანებით ლიტვა საექსპორტო ბაზრის მეტ დივერსიფიკაციასაც ელოდება.

ქვეყანაში დიდი პრობლემაა ემიგრაცია, რაც ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების უფლებამ განაპირობა. 2014 წლის მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობა 2.92 მილიონია, რაც თითქმის ერთი მილიონით ნაკლებია 2011 წელთან შედარებით.

ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტეა, რომელიც ლიტვის პირველ ქალ პრეზიდენტთან ერთად, პირველი პრეზიდენტია, რომელიც მიყოლებით ორჯერ აირჩიეს.

ლიტვის რეკომენდაციები საქართველოს გარემოსდაცვით სექტორში

საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პერიოდში,გარკვეული პერიოდი მომიწია ლიტვაში ყოფნა და შევისწავლე ლიტვის გარემოსდაცვითი სექტორი მეტნაკლებად. ავიღე რამოდენიმე ინტერვიუ,როგორც სამინისტროს წარმომადგენლებისგან ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან.

ორივე მხარე ერთხმად აღნიშნავს,რომ საქართველოს სწორი კურსი აქვს არებული ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. რაზეც მეტყველებს საქართველო-ევროკავსირს შორის გაფორმებული ასოციების ხელშეკრულება. სასიამოვნო დამთხვევაა ისიც, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის შეთანხმების პარაფირება მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის ფარგლებში. სწორედ ლიტვა იყო მასპინძელი ქვეყანა ამ უმნიშველოვანეს პერიოში და გვერდში გვედგა და გვიდგას ყოველთვის.

რა შეეხება რეკომენდაციებს,ლიტვა გვირჩევს,რომ შეუძლებელი არაფერია და დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგად ყველა პრობლების გადალახვაა შესაძლებელი. პირველ რიგში ძალიან კონსტრუქციულად და თანამიმდევრულად უნდა მოახდინოს საქართველომ, არამარტო გაემოსდაცვის სექტორში არამედ ყველა სფეროებში ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ლიტვა ფიქრობს,რომ მხოლოდ სამთავრობო სექტორის ძალისხმევა ამაო და ფუჭი იქნება ასოცირების ხელშეკრულებით დაკისრებული ე.წ „საშინაო დავალების“ შესასრულებლად, თუ ამ ცვლილებების პროცესში საზოგადოებაც არ ჩაერთო აქტიურად, თითოეული მოალაქის როლი განუზომელი და წინ გადადგმული ნაბიჯია. არასამთავრობო სექტორი კი გვირჩევს, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე რომ, ძალზედ მნისვნელოვანია ამ პროცესებში ახალგაზრდა თაობის ჩართვა. ერთ-ერთ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაციის „Mes Darom“-ის ხელმძღვანელი კაროლის სარგუნასი ამბობს,რომ :“ რომ არა ახალგაზრდა თაობა,მათი მონდომება, აქტიურობა, ენთუზიაზმი ჩვენ დასახულ მიზანს გარემოსდაცვის სექტორში ვერ მივაღწევდით “.

ასევე აღსანიშნავი მომენტია საზოგადოების ცნობიერების ამარლება, ლიტვაც ისევე როგორც საქართველო პოსტ-საბჭოური ქვეყანაა და საბჭოურმა აზროვნებამ და მენტალიტეტა ორივე ერის ხალხებზე მოახდინა გავლენა. ამ ეტაპზე ეს პრობლემა ლიტვამ მეტ-ნაკლებად დაძლია და საქართველოსაც ურჩევს,რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით კი გარემოსდაცვითი ცნობიერების კუთხით საზოგადოებაში ძალიან დიდი სამუშაო უნდა გასწიოს, რომ საზოგადოებას ევროპული ხედვა

განუვითაროს. ლიტავა ყოველთვის იყო არის და იქნება საქართველოს უახლოესი მეგობარი ქვეყანა და გვისურვებს წარმატებულ სვლას ევროპისაკენ.

კითხვარი თემაზე: „ქართვლი და ლიტველი სტუდენტების დამოკიდებულებების კვლევა გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ“

საბაკალავრო ნაშრომის წერის პერიოდში ჩავატარე კვლევა სახელწოდებით: „ქართველი და ლიტველი სტუდენტების დამოკიდებულებების კვლევა გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ“.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 200-მდე სტუდენტი ლიტვასა და საქართველოში,კერძოდ კი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლიტვის საგანმანათლებლო უნივერსიტეტის, ყველა ფაკულტეტის სტუდენტები . კვლევა იყო კონფიდენციალური, ნებაყოფლობითი, ხოლო მიღებული პასუხები განზოგადებული სახით გაანალიზდა და შემდეგ თვალსაჩინო დიაგრამების მეშვეობით შედარდა.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

1. სქესი





2. კურსი





3. საცხოვრებელი ადგილი





4. ფაკულტეტები





5.თქვენი აზრით ახდენს თუ არა გარემოს მდგომარეობა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებას?



6. თქვენი აზრით წარმოადგენს თუ არა გარემოს დაცვა სამოქალაქო ვალდებულებას?





7. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა გარემოსდაცვით აქტივობებში?





8. რომელი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის (აქციის,პროექტის..) შესახებ გსმენიათ საქართველოში/ლიტვაში ?

საქართველო

- „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა,დედამიწის მეგობრები“.
- „პარტიზანი მებაღეები“.
- „მწვანე მუშტი“.
- „ახალგაზრდა მწვანეები“.
- „CENN”
- „ეკოვიჟენი“
- „მწვანე მოხალისეები“
- .....

<u>იცის- 71%</u>
<u>არ იცის -29%</u>

ლიტვა

- „Mes Darom“
- „ბალტიის მგლები“
- „ახალგაზრდა ბუნებისმოყვარულები“
- „აღდგენა“
- „დედამიწის დღე“ პროექტი,აქცია
- „ჩვენ ვაკეთებთ,დასუფთავების აქცია 2017“
- .....

<u>იცის- 37%</u>
<u>არ იცის -63%</u>

9. თქვენი აზრით, თქვენს ქვეყანაში რომელია უპირველესი გარემოსდაცვითი პრობლემაა?

საქართველოში

- „ხუდონ ჰესი“
- „საყდისი“
- „პაNOრამა თბილისი“
- წყლის დაბინძურება
- ჰაერის დაბინძურება
- ხე-ტყის ჩეხვა
- ნარჩენების პრობლემა
- ავტომობილების გამონაბოლქვი
- ...

ლიტვაში

- წყლის დაბინძურება
- ბელარუსიის საზღვარზე აეს-ის მშენებლობა
- ხე-ტყის ჩეხვა
- ნარჩენების პრობლემა
- ავტომობილების გამონაბოლქვი
- სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დაბინძურება
- ...

10. თქვენი აზრით ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს გარემოსთვის მთავარ საფრთხეს?





1. ჰაერის დაბინძურება

2. ნიადაგის დაბინძურება

3. წყლის დაბინძურება

4. გლობალური დათბობა

5. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დაბნძურება

6. ხე-ტყის ჩეხვა

11. გავრცელებული მოსაზრებით, გარემოს დაცვა არის და იქნება უპირველესი პრობლემა დედამიწისთვის, გთხოვთ, შეაფასოთ სკალაზე, სადაც (I)-ნიშნავს სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო (V)-სრულიად ვეთანხმები, რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით ამ მოსაზრებას.

I II III IV V





12. გთხოვთ, შეაფასოთ სკალაზე, სადაც (I)-ნიშნავს სრულიად უკმაყოფილო ვარ, ხოლო (V) - სრულიად კმაყოფილი,.რამდენად კმაყოფილი, ან უკმაყოფილო ხართ საცხოვრებელი გარემოთი, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ.

I_____II_____III_____IV_____V





აღნიშნული კვლევის შედეგად მიღებული პასუხები ფრიად საინტერესო აღმოჩნდა.

რომ განვაზოგადოთ მიღებული პასუხები დავინახავთ,რომ ქართველი სტუდენტები უფრო მეტად ინფორმირებულნი არიან გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ, ვიდრე ლიტველი სტუდენტები,გარდა ამისა ნათლად ჩანს,რომ ქართველი სტუდენტების ჩართულობა გარემოსდაცით სექტორში უფრო მეტია,ვიდრე ლიტველი სტუდენტების. ისიც აღსანიშნავი ფაქტია,რომ საცხოვრებელი გარემო პირობებით ქართველი სტუდენტების უმრავლესობა უკმაყოფილოა ან ნახევრად კმაყოფილი,ლიტველი

სტუდენტების შემთხვევაში ოდნავ ცვლილებაა,მათი პროცენტული მაჩვენებლი მიუთითებს რომ უმრავლესობას ან ნახევრად მოსწონს საცხოვრებელი გარემო ან კმაყოფილია სრულიად.

აღნიშნული გამოკითხვა მეტყველებს იმაზე,რომ ლიტვას უკვე გავლილი აქვს ის პრობლემური გარემოსდაცვითი გზა,რომელსაც ჩვენ ეხლა გავდივართ. შესაბამისად ახალგაზრდა თაობის ჩართულობაც ნაკლებია ლიტვაში,ნაკლები გარემოსდაცვითი პრობლემების ფონზე.

სამწუხარო ფაქტია,საქართველოში გარემოსდაცვითი სექტორი არც ისე კარგ მდგომარეობაშია დღესდღეობით,მაგრამ სასიხარულო ფაქტია ის,რომ სტუდენტები, ახალგაზრდა თაობა ასე აქტიურადაა ჩართული და კარგად ინფორმირებულია გარემოსდაცით საკითხებში.

დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება მათ შორის, გარემოსდაცვის, კლიმატის ცვლილებებისა და მდგრადი განვითარების სფეროებში. სწორედ ამ მოვლენებმა დააჩქარა საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განახლება და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება-ჰარმონიზაციის პროცესები. ამაზე მეტყველებს სულ ახლახანს მიღებული, სრულიად ახალი,“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ,რომელიც მოქმედებას იწყებს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ბოლო წლებში ძალიან დიდი ნაბიჯები იდგმება საქართველოს გარემოსდაცვით სექტორში, ეს პროცესები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ლოკალურად ქვეყნისთვის,რეგიონისთვის ასევე, გლობალურად მთლიანად დედამიწისთვის, თუ გავითვალისწინებთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს, კატასტროფულად დაჩქარებულ კლიმატის ცვლილებას მსოფლიო მასშტაბით ე.წ გლობალურ დათბობას და ა.შ.

კვლევის პერიოდში შევისწავლე და აღმოვაჩინე ჩემთვის საინტერესო უამრავი საკითხი, გავეცანი საქართველო-ევროკავშირს შორის დადებულ ასოცირების შეთანხმებას და გარემოსდაცვით სფეროში დაკისრებულ ვალდებულებებს. გავეცანი სამთავრობო უწყებების მუშაობას და უკვე განახლებულ კანონმდებლობას. საინტერესო იყო ლიტვის გარემოსდაცვის სექტორის კვლევა, გარემოსდაცვითი პრობლემები, გადაჭრის გზები, საზოგადოების ჩართულობა, მათი ევროკავშირისკენ გადადგმული ნაბიჯები და საბოლოოდ ევროკავშირის წევრობა. ვფიქრობ, რომ ლიტვის რეკომენდაციები საქართველოს სამომავლოდ ევროპულ გზაზე აუცილებლად გამოადგება.

ბიბლიოგრაფია / გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation

   (საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.)

   1.1-1.5 . http://infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/#1 (საქართველო ევროკავშირი საინფორმაციო ცენტრი.)

2. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf , „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი. თბილისი 2014

   http://infocenter.gov.ge/euinfo-the-association-agreement/#1

   საქართველო და ევროკავშირი საინფორმაციო ცენტრი.

3. საქართველოს გარემოსდაცვითი მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021წწ.
4. http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA_BodyText%20%2810%29.pdf
   ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.
5. „მწვანე ალტერნატივა“
   ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების შესრულების ეფექტურობის შეფასება. თბილისი 2016.
6. http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2017-04-21-garemosdacviti-shefasebis-kodeqsi
   საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
   http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142831?
   გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.

6.1 სახელმძღვანელო, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია, მწვანე ალტერნატივა დეკემბერი, 2013.

7. https://www.urm.lt/default/lt/uzsienio-politika/uzsienio-politikos-prioritetai/lietuva-europos-sajungoje/lietuvos-naryste-es
   Lietuvos Respublikos užsienio reikalų ministerija, ლიტვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2016.01.13

დანართები

დანართი 1.

http://www.moe.gov.ge/res/docs/4700evrokavshirtan-daaxloebis-sagzao-ruka.pdf